

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2010 წლის რესპუბლიკური
ბიუჯეტის შესახებ

მუხლი 1.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ბალანსი:

(ათასი ლარი)

დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის გეგმა	2010 წლის გეგმა
შემოსავლები	82 330.0	104 986.7	61 400.0
გადასახადები	73 000.6	59 000.0	60 000.0
გრანტები	3 909.9	42 732.0	0.0
სხვა შემოსავლები	5 419.5	3 254.7	1 400.0
ხარჯები	74 098.8	102 999.8	50 074.9
შრომის ანაზღაურება	12 083.4	9 905.8	11 414.6
საქონელი და მომსახურება	15 617.6	15 886.6	13 598.3
პროცენტი	0.0	108.0	442.0
სუბსიდიები	8 179.8	9 699.4	12 969.3
გრანტები (გაცემული)	34 561.9	64 709.9	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	3 648.6	1 869.2	2 893.7
სხვა ხარჯები	7.4	820.9	8 757.0
საოპერაციო საღდო	8 231.2	1 986.9	11 325.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	12 087.8	-1 329.5	5 378.3
ზრდა (შემცენა)	36 524.1	13 470.9	10 378.3
კლება (გაყიდვა)	24 436.3	14 800.4	5 000.0
მთლიანი საღდო	-3 856.6	3 316.4	5 946.8
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 931.6	- 838.6	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0
ვალუტა, დეპოზიტები			
სესხები	0.0	0.0	0.0
კლება	2 931.6	838.6	0.0
ვალუტა, დეპოზიტები	1 817.9	838.6	
სესხები	1 113.7		
ვალდებულებების ცვლილება	925.0	-4 155.0	-5 946.8
ზრდა	925.0	0.0	0.0
სესხები	925.0		
კლება	0.0	4 155.0	5 946.8
სესხები			
ბალანსი	0.0	0.0	0.0

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება:

(ათასი ლარი)

დასახელება	2008 წლის ფაქტი	2009 წლის გეგმა	2010 წლის გეგმა
შემოსულობები	108 805.0	119 787.1	66 400.0
შემოსავლები	82 330.0	104 986.7	61 400.0
არაფინანსური აქტივების კლება	24 436.3	14 800.4	5 000.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	1 113.7	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	925.0	0.0	0.0
გადასახდელები	110 622.9	120 625.7	66 400.0
ხარჯები	74 098.8	102 999.8	50 074.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	36 524.1	13 470.9	10 378.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების კლება	0.0	4 155.0	5 946.8
ნაშთის ცვლილება	-1 817.9	- 838.6	0.0

მუხლი 2.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მთლიანი სალდო 5946.8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 3.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 61400 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 1-სა.

მუხლი 4.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკურ ჭრილში 50074.9 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 2-სა.

მუხლი 5.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით 10378.3 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 3-სა.

მუხლი 6.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივები ფუნქციონალურ ჭრილში 60453.2 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 4-სა.

მუხლი 7.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალდებულებათა კლება 5946.8 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 5-სა.

მუხლი 8.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები 66400 ათასი ლარის ოდენობით, თანახმად დანართი № 6-სა.

მუხლი 9.

განისაზღვროს საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროები 19 ათასი ლარის ოდენობით, საწევროების გადახდა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მეშვეობით

მუხლი 10.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიო-მაუწყებლობის დეპარტამენტის, ტელევიზიის საინფორმაციო-სამაუწყებლო ღონისძიებები 4016.8 ათასი ლარის ოდენობით, ღონისძიებათა ჩამონათვალს ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 11.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტის, საგზაო სატრანსპორტო სისტემების, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაციის ღონისძიებები 10188.7 ათასი ლარის ოდენობით, ღონისძიებათა ჩამონათვალს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 12.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდი 1300 ათასი ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 13.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სესხების მომსახურებისა და სხვა ვალდებულებების ასიგნება 5167 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული ასიგნების ფარგლებში ანგარიშსწორებას, ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მუხლი 14.

განისაზღვროს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტები და ამ პროექტების თანადაფინანსების ხარჯები 1092 ათასი ლარის ოდენობით, აღნიშნული ასიგნების ფარგლებში ანგარიშსწორებას, ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მუხლი 15.

განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ღონისძიებები განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში 1000 ათასი ლარის ოდენობით, განათლების, კულტურისა და სპორტის ღონისძიებათა ჩამონათვალსა და კალენდარულ გეგმას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

მუხლი 16.

განისაზღვროს სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამმართველოს პროგრამები 220 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მტკიცდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

მუხლი 17.

„ამერიკული თეთრი პეკელას საწინააღმდეგო ღონისძიებების“, „ცხოველებისა და ადამიანის საერთო სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების (აცრები)“, „სასმელი წყლის ხარისხის კონტროლის მიზნით ლაბორატორიული კვლევა“ პროგრამების განმახორციელებელია სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სამსახური "

მუხლი 18.

2010 წლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარებების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში. ამასთანავე მხარჯავი დაწესებულებები უფლებამოსილნი არიან გაზარდონ მათთვის წლიური ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის „შრომის ანაზღაურების“ მუხლით დამტკიცებული ასიგნებები არაუმეტეს ამავე მუხლით დამტკიცებული ასიგნების 1/12-ისა.

მუხლი 19

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანების დასაფარავად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს 2010 წელს საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრები იმ პირობით, რომ არ იქნება დაშვებული ამ მუხლის მიხედვით ახალი დავალიანების დაგროვება, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამის საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

მუხლი 20.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გათვალისწინებული მიზნობრივი პროგრამების დამტკიცება და მათზე კონტროლი ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამისი აქტით.

მუხლი 21.

ნება დაერთოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 27 მაისის №456 ბრძანების შესაბამისად, ცალკეული საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ბიუჯეტით დამტკიცებულ წლიურ ასიგნებებში მოახდინოს ასიგნების ნაწილობრივი გადანაწილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, წლიური საერთო მოცულობის 10 პროცენტის ფარგლებში.

მუხლი 22.

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2009 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

მუხლი 23.

ეს კანონი ამოქმედდეს 2010 წლის 1 იანვრიდან.

ბათუმი,
2009 წლის ოქტომბერი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

ლევან ვარშალომიძე